№ 31 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. სამშაბათი, 10 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

САКЛИГНИ Цена -30

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

სამშაბათს, 10 თებერვალს მ. ს. დავიდოვის გასტროლი
დავიდოვის, ორლოვისა, ზალიპსკის, თარხან-მოურავის, დემიანენკოს მონაწილეობით

ვერტერი

ოთხშაბათს 11 თებერვალს ფ. ნ. დროზდო პოლიაევის ბენეფისი „აფრიკელი ქალი" ხუთშაბათს 12 თებ. ლიდია ჯონსონის ბალეტის მეორე საღამო. პარასკევს 13 თებ. ო. ს. კალანდაძის ბენეფისი მისივე მონაწილეობით „ქეთო და კოტე".

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე ქალაქის ცეიხგაუზში (მადათოვის კ.) აუქციონი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვა და სხვა უვარგისი ნივთები. 168 3—2

ტფ. გუბ. საავადმყოფოს ფსიქიატრიულ

განყოფილებაში თავისუფალია უმცროსი ორდინატორის ადგილი. მსურველთ განცხადება შეუძლიანთ შემოიტანონ ერთი კვირის განმავლობაში. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. 223 1—1

ოფიციალური ნაწილი.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა

6 თებერვალი, 1920 წ. № 31.

ჩაირიცხა იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და იგზავნება: ახალციხის მაზრის მე-2 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურსდამთავრებული გიორგი ალექსანდრეს ძე მირზაშვილი ამა წლის თებერვლის 5-დან.

6 თებერვალი, 1920 წ. № 30.

ჩაირიცხა იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და იგზავნება: ლაგოდეხის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის კურსდამთავრებული ალექსანდრე გრიგოლის ძე გრიქუროვი ამა წლის თებერვლის 5 დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

10 იანვარი, 1920 წ., № 3.

გამწესებულნი არიან მოქალაქეები: ნიკოლოზ ბასილაშვილი იგივე კამკამიძე და ალექსანდრე გოლოვანოვი, ყოფილი ფოსტალიონები: დავით სამხარაძე და აკაკი ქექელაშვილი ახლად ფოსტალიონებად 420 მან. ჯამაგირით წელიწადში: კამკამიძე ქვემო მაჩხაანში, გოლოვანოვი ახმეტაში, სამხარაძე და ქექელაშვილი ხაშურის კანტორაში. პირველი ორი 16 იანვრიდან, დანარჩენნი 11 იანვრიდა 1920 წელსა.

დანიშნულნი არიან: მეოთხე ხარისხის მოხელე სოხუმის კანტორისა ვლადიმერ ჯოჯილავა ნოვოსტრელიცკის განყოფილების უფროსად. ქვემო მაჩხაანის ფოსტალიონი პანტელეიმონ ბარნაბიშვილი და სამმართველოს კანცელარიის მოხელე ნიკოლოზ ინანიშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ, მეექვსე ხარისხით, თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში, ჯოჯილავა და ინანიშვილი 11 იანვრიდან, ბარნაბიშვილი 16 იანვრიდან 1920 წ.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა: მე 5 ხარ. გიორგი ჯვებენავა და მე-6 ხარ. აპოლონ ბაკურაძე და ფოსტალიონები: ხაშურის კანტორისა: მაკარ ანჯაფარიძე და გრიგოლ კახიანი; შულავერის ესტატე კუხალაშვილი; ეკატერინოვკის გრიგოლ კუხალაშვილი და ახმეტის გიორგი ტაბიძე იმავე წოდებებით: ჯვებენავა ნაოლალევში, ბაკურაძე ქუთაისში, ანჯაფარიძე სოხუმში, კახიანი ახალსენაკში, კუხალეიშვილი სიღნაღში, გრიგოლ კუხალაშვილი თელავში და ტაბიძე თბილისის ფოსტაში. გრიგოლ კუხალაშვილი 16 იანვრიდან, დანარჩენნი 11 იანვრიდან 1920 წ. თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილნი არიან: ფოსტალიონი ახალსენაკის ფოსტა ტელეგრაფის კანტორისა ალექსანდრე დიხამინჯია და ფოსტა ტელეგრაფის მოხელე პირველ ხარისხისა ნოვოსტრელიცკის განყოფილებისა ვასილ ევრეინოვი—პირველი თანახმად თხოვნისა 5 იანვრიდან, მეორე 11 იანვრიდან 1920 წ. შტატების შემცირების გამო.

გამორიცხულნი არიან სამსახურიდან: ფოსტალიონები სოხუმის კანტორისა ანდრონიკე თევდორაძე და თბილისის ფოსტის ნიკოლოზ შავერდაშვილი და კონსტანტინე დარჯანია; პირველი სიკვდილის გამო 8 იანვრიდან 1920 წ. დანარჩენნი 1919 წ. პირველ დეკემბრიდან სამხედრო სამსახურში მიღების გამო.

15 იანვარი, 1920 წ. № 4.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელე ფილიპე ქართველიშვილი ახლად მეხუთე ხარისხის მოხელედ სოხუმის კანტორაში 16 იანვრიდან 1920 წ.

დანიშნულნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები თბილისის ტელეგრაფის კანტორისა: მეორე ხარისხის მოხელე ერმილე ხოშტარია, მეოთხესი იოსებ ალამბეკიანცი და სოფიო დამოლცევისა მოხელეებათ იმავე კანტორაში: ხოშტარია მესამე ხარ. და ალამბეკიანცი და დამოლცევისა მეხუთე ხარისხებით, სამივე 16 იანვრიდან 1920 წ.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: თბილისის ტელეგრაფის მეექვსე ხარ. ლევან კობაიძე, ქუთაისის მეოთხე ხარ. დიმიტრი წულუკიძე, სოხუმის მეხუთე ხარ. ივანე კვარაცხელია, ნოტანების მეხუთე ხარ. ქრისტეფორე ებრალიძე და ფოსტალიონები სადმელის კონსტანტინე ჭარბაძე, ონის გიორგი სოხაძე, იმავე წოდებებით: კობაიძე მესამე განყოფილებაში. სოხაძე სადმელში, წულუკიძე სამტრედიაში, კვარაცხელია ოჩემჩირეში, ებრალიძე ლანჩხუთში, ჭარბაძე ონში; სუყველანი 1920 წლის 16 იანვრიდან, ხოლო კვარაცხელია თანახმად თხოვნისა. დანარჩენნი სამსახურის სასარგებლოთ.

20 იანვარი, 1920 წ. № 5.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელე პარიმონ (პარიენ) ჩაჩხიანი კაჭრეთის განყოფილების უფროსათ 25 იანვრიდან. ყოფილი ფოსტალიონი რუბენა ჭელიძე და მოქალაქე ლევან ჭანტურია ფოსტალიონებად 420 მან. ჯამაგირით წელიწადში: ჭელიძე—სოხუმში, ჭანტურია—საჩხერეში; ყოფილი მოხელეები: რაჟდენ ნიკურაძე, ვიქტორ ვეფხვაძე, მაქსიმე სოლომკო და მოქალაქე ნინა ფთაძე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: ნიკურაძე მესამე ხარ. და სოლომკო მეხუთეთი—გაგრაში, ვეფხვაძე მეხუთე ხარ. სოხუმში და ფთაძე მეექვსეთი ტბილისის ტელეფონის ქსელზედ; ფთაძე 2 იანვრიდან, ჭელიძე და ვეფხვაძე 21 იანვრიდან; ჭანტურია, ნიკურაძე, ჩაჩხიანი და სოლომკო 25 იანვრიდან.

დანიშნულნი არიან: მეხუთე ხარ. მოხელე გაგრის კანტორისა ერასტი მურღულია ახალათონის მეხუთე კლასის კანტორის უფროსად, მეოთხე ხარ. მოხელე ტფილისის ფოსტის კანტორისა გიორგი კეზელი და ტფილისის ტელეგრაფის მეხუთე ხარ. პლატონ ესებუა—ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსებათ: კეზელი ახალქალაქში (გორის მაზრა); ესებუა აბასთუმანში (ზუგდიდის მაზრა), მურღულია 24 იანვრიდან და კეზელი და ესებუა 21 იანვრიდან 1920 წ. მეოთხე ხარ. მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ევტიხი ჭანტურია გალის განყოფილების უფროსად 21 იანვრიდან 1920 წ.

გადაყვანილნი არიან: გალის განყოფილების უფროსი ნიკიფორე ბარაბაძე და მეოთხე ხარ. მოხელე ქუთაისის კანტორისა ივანე შავგულიძე და ფოსტალიონები რკინის გზის განყოფილებისა: ნიკოლოზ თავართქილაძე, პეტრე ჩიქნაელი, ბიქტორ ბურჭულაძე, კობის განყ. ალექსანდრე მანგიაშვილი და ჩხარის აქსენტი სამელია იმავე წოდებებით: ბარაბაძე—ცაიშში, შავგულიძე—ახალსენაკში, სამელია—ყვირილაში, მანგიაშვილი, თავართქილაძე, ბურჭულაძე, ჩხეკალი ტფ. ფოსტაში. თავართქილაძე, ბურჭულაძე, ჩხეკალი 1 თებ., ვლიდან, დანარჩენი 21 იანვრიდან 1920 წ.

განთავისუფლებულნი არიან: ზედამხედველები მაღალი ჯამაგირისა: სოხუმის—ლევ ანდრეევი, ხონის—გრიგოლ კარტოზია და ხაშურის გაბრიელ გრუზა, მესამე ხარ. მოხელის თანამდებობის აღსრულებისაგან და ამავე ხარისხის ჯამაგირის მიღების მოსპობით 1 იანვრიდან 1920 წ.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: მეხუთე ხარ. მოხელე გაგრის კანტორისა ივანე სიმონენკო და მაღალი ჯამაგირის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებელი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა კონსტანტინე კობალაძე; სიმონენკო 16 იანვრიდან და კობალაძე 1 იანვრიდან 1920 წ.

გამორიცხულნი არიან სიებიდან: სოხუმის კანტორის მოხელე—ილია ყურაშვილი, ტფილისის ფოსტის კანტორის—სარქის იარალიანცი, საჩხერის განყოფილების—სერგო კუპრაშვილი; ზედამხედველი სოხუმის კანტორისა რაჟდენ კილაძე, ფოსტა ტელეგრაფის მოხელეები იმავე კანტორისა: ალექსანდრე ვაშაკიძე და იასონ გიორგაძე, ონის—სიმონ მიქიაშვილი; ყურაშვილი 26 დეკემბრიდან, კუპრაშვილი 25 დეკემბრიდან, 1919 წ.; კილაძე, ვაშაკიძე და გიორგაძე 21 ნოემბრიდან 1919 წელსა, იარალიანცი და მიქიაშვილი 15 იანვრიდან 1920 წ.; მიქიაშვილი სიკვდილის გამო, დანარჩენი სამხედრო სამსახურში მიღების გამო.

25 იანვარი, 1920 წ. № 6.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელე ლეონიდე ჯიბლაძე ფოსტალიონათ 480 მ. ჯამაგირით წელიწადში შულავერის კანტორაში; ყოფილი ფოსტალიონი რაჟდენ ბაბუნაშვილი და მოქალაქეები: ანდრია გვიჩიძე და გრიგოლ შენგელია ზედამხედველებათ დაბალ ჯამაგირით: ბაბუნაშვილი—კობში, შენგელია—ჰოებალოში, გვიჩიძე—ტფილისის ტელეფონის ქსელზედ; ყოფილი ნატენების განყოფილების უფროსი ვლადიმერ ნიკოლეიშვილი და ყოფილი მოხელეები: ნადეჟდა პატერსონი, თამარა დურგალოვა, მიხეილ კაჟარაძე და ოსეპ ნარიმანიანცი მოხელეებათ: დურგალოვა—ახალციხეში მე 6 ხარ., კაჟარაძე—გაგრაში მე 6 ხარ., ნიკოლეიშვილი და პატერსონი მეოთხე ხარ. ტფილისის ტელეგრაფში და ნარიმანიანცი მესამე ხარისხით ტფილისის ტელეგრაფში; კაჟარაძე 27 იანვრიდან, დანარჩენი რვა პირველ თებერვლიდან 1920 წ., ხოლო გვიჩიძე დროებით გაწესებით სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებაში სამუშაოთ.

დანიშნულნი არიან: მეხუთე ხარ. მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა გრიგოლ მშვიდობაძე შუხუთის განყოფილების უფროსად; ფოსტალიონი შულავერის კანტორისა არმენაკ ზარგარიანცი და ფ/ტ. მოხელე მეხუთე ხარ. ტელეფონის ქსელისა ნინო გამრეკელი მეექვსე ხარისხის მოხელეებათ იმავე დაწესებულებებში; კაჭრეთის განყოფილების უფროსი ევგენი ჯანდიერი მეოთხე ხარ. მოხელეთ ველისციხის განყოფილებაში; ჯანდიერი 25 იანვრიდან, დანარჩენნი პირველ თებერვლიდან 1920 წელს.

გადაყვანილნი არიან: ფ.-ტელ. მოხელეები: სოხუმის კანტორისა მესამე ხარ. ოლღა ხახანოვისა, მეოთხესი ანდრია ნიკოლეიშვილი მეექვსესი ბესარიონ ფოჩხუა; ფოთის მეხუთე ხარ. სერგო კახიანი, შულავერის მე 6 ხარ. არჩილ მუნჯიშვილი, წნორის წყლის მეხუთე ხარ. ვასილ კრიალაშვილი, ტფილისის ფოსტის მეორე ხარ. ევგენია კოლელოვა, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მესამე ხარ. ნინა მაზურ, ფოსტალიონები: სამტრედიის კონსტანტინე ჭურღულია, ტფილისის პირველ განყოფილების მიხეილ მიქაძე და ტფილისის ფოსტის კანტორისა გურია ყიფიანი და ზედამხედველები: კობის—შალვა ჭეიშვილი, ტფილისის ტელეფონის ქსელის: მოსეს მანუჩაროვი და მიხეილ ვასილიევი იმავე წოდებებით: ხახანოვა, მუნჯიშვილი და კრიალაშვილი ტფილისის ტელეგრაფში; კოლელოვა მეოთხე სამოქალაქო განყოფილებაში, ჭურღულია პირველ განყოფილებაში, ნიკოლეიშვილი და მიქაძე სამტრედიაში, ფოჩხუა—ფოთში, კახიანი—სოხუმში, მაზურ—წნორის წყალში, ყიფიანი—შულავერში, ჭეიშვილი—გუდაუთში, მანუჩაროვი—ფასანაურში, ვასილიევი—თიონეთში; კოლელოვა 30 იანვრიდან, დანარჩენნი 1 თებერვლიდან 1920 წ., ხოლო ხახანოვა, მუნჯიშვილი, კრიალაშვილი, კოლელოვა, ჭურღულია, ნიკოლეიშვილი, მიქაძე, ფოჩხუა, კახიანი და მაზური თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილია სამსახურიდან: ტფილისის ფოსტის ფოსტალიონი ვალერიან ლიპარტიანი 1 თებერვლიდან.

გამორიცხულნი არიან: ზედამხედველები: მლეთის—გრიგოლ პაპუაშვილი და ფასანაურის—პორფილე ელიაძე სამხედრო სამსახურში მიღების გამო 1920 წ. 1 იანვრიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის განკარგულებანი.

1 ნოემბერი, 1919 წ. № 28.

ინიშნება: მცხოვრები ქ. ახალ სენაკის ელისაბედი მიხას ასული ჭკადუას ჩემდამი რწმუნებულ კანცელარიის გადამწერად 20 ოქტომბრიდან.

5 ნოემბერი, 1919 წ. № 29.

გამოირიცხება: სამსახურიდან სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიის გადამწერი ელისაბედ მიხას ასული ჭკადუა, თანახმად მისი თხოვნისა 5 ნოემბრიდან 1919 წ.

2 დეკემბერი, 1919 წ. № 30.

გამოირიცხება: სამსახურიდან სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიის გზირი გიორგი ცავა 1 დეკემბრიდან 1919 წ.

ინიშნება: სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობის გზირად მცხოვრები სოფ. მარტვილის იუსტინე ბირქაია 1 დეკემბრიდან 1919 წ.

ინიშნება: სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობის კანცელარიის გადამწერად მცხოვრები ქ. ახალ-სენაკის თამარ უშანგის ასული გუგუშვილისა 1 დეკემბრიდან 1919 წ.

31 დეკემბერი, 1919 წ., № 31.

გამოირიცხება: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მდივანი ნიკოლოზ იოსების ძე ერიქაშვილი, თანახმად მისი თხოვნისა პირველი იანვრიდან 1920 წლისა.

31 დეკემბერი, 1919 წ. № 32.

ინიშნება: სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მდივნის თანაშემწე ფილიპე ესტატე ბახვას ძე ადამია იმავე ყრილობის მდივნად პირველი იანვრიდან 1920 წლისა.

ინიშნება: სენაკის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს თარჯიმანი აქსენტი თომას ძე გეგენავა სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ

მოსამართლეთა ყრილობის მდივნის თანაშემწედ პირველი იანვრიდან 1920 წ.

სამეგრელოს მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე ჩაჩიბაია.

—

ზანძის უბნის მომრიგებელი მოსამართლისა.

13 მაისი, 1919 წ. № 1.

ინიშნება: ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერათ ონისიმე იოსების ძე ქაჯაია 13 მაისიდან 1919 წ.

15 მაისი, 1919 წ. № 2.

ინიშნება: აკაკი მურზაყანის ძე ფილივა ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერათ 15 მაისიდან 1919 წ.

17 მაისი 1919 წ. № 3.

ინიშნება: იოსებ დავითის ძე ფილივა ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს თარჯიმნათ 17 მაისიდან 1919 წ.

№ 4.

ინიშნება: ნაოლალევის სამომრიგებლო უბნის კანცელარიის მოხელე გიორგი პავლეს ძე წირღვავა ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნის თანამდებობის აღმასრულებლათ 1 მაისიდან 1919 წ.

№ 5.

ინიშნება: გიორგი დათიკას ძე კარტოზია ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს გზირად 13 მაისიდან 1919 წ.

№ 6

ინიშნება: მელიტონ ქუჩუს ძე სართანია ზანძის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს მსახურად 17 მაისიდან 1919 წ.

13 ივნისი, 1919 წ. № 7.

ინიშნება: ლევან ბიქტორის ძე გაბუნია ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის მანქანაზე გადამწერათ 13 ივნისიდან 1919 წ.

№ 8.

დათხოვნილია: თანახმად მისი თხოვნისა ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერი ონისიმე იოსების ძე ქაჯაია 13 სექტემბრიდან 1919 წ.

№ 8.

ინიშნება: სილიბისტრო ლომინის ძე კორძაია ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს კანცელარიის გადამწერათ 13 სექტემბრიდან 1919 წ.

21 ოქტომბერი, 1919 წ. № 10.

გამორიცხულია: გიორგი დათიას ძე კარტოზია სიკვდილის გამო ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს გზირის სამსახურიდან 23 ოქტომბრიდან 1919 წ.

1 ნოემბერი, 1919 წ., № 11.

ინიშნება: ლუკა ოქროპირის ძე პაჭარაია ზანძის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს გზირათ 1 ნოემბრიდან 1919 წ.

ზანძის უბნის მომრიგებელი მოსამართლე **გ. ახათიანი.**

—

გორის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარისა

№ 34. 31 დეკემბერი, 1919 წ., § 1

ჩემდამი რწმუნებულ ყრილობის თარჯიმანი ბარბარე გიორგის ასული კაპანაძე დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან იანვრის 1-დან 1920 წ. თანახმად თვისი თხოვნისა და მის თანამდებობაზე მიღებულ იქნეს 1 ლ იანვრიდან 1920 წ. მოქალაქე სოფიო მიხეილის ასული გაბარაშვილისა, თანახმად თვისი თხოვნისა.

ვინაიდან მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელ მოსამართლის საბოქაულო იანვრის 1-დან ამა 1920 წელს შემოუერთდა ჩემის განკარგულებით გორის ოლქის ყრილობის საბოქაულოს, ამიტომ მეჯვრისხევის სასამართლოს ბოქაულს ვასილ კვალიშვილს ვნიშნავ იქავე იანვრიდან ბორჯომის უბნის ბოქაულად, რომელი უბნის საბოქაულო გამოეყო სურამ ხაშურის საბოქაულოს. ეს დანიშვნა ეცნობოს სურამის მოსამართლეს, რომ ამიერიდან ი. ქურდევანიძემ უნდა განაგოს სურამ ხაშურის უბნები; ეცნობოს აგრეთვე მეჯვრისხევის მოსამართლეს, რომ აღმასრულებელი ფურცლები ეგზავნებოდეს ყრილობის ბოქაულს გიორგი ტლაშაძეს.

ყრილობის თავმჯდომარე

ს. მგალობლიშვილი

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

ერობების და ქალაქების სასურსათო საჭიროებისათვის ფულის გადადება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ნი ჭიჭინაძემ შემდეგი მოხსენება წარუდგინა მთავრობას:

გასულ წელს მთელ რესპუბლიკაში მოუსავლობამ მოლოდინს გადააჭარბა. მართალია 1918 წლის შედარებით უხვ მოსავლიდან 3,000 000 ფუთამდის გადარჩა, მაგრამ თვით 1919 წლის მოუსავლობამ შთანთქა წინა გადარჩენილი პური და სიმინდი და ხალხი შიმშილის პირის პირ დადგა. ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს (ტფილისის გუბ.) აკლია 11,759,181 ფუთი ხორბალი და დასავლეთისას (ქუთ. გუბ.) 9,632,763 ფუთი. სულ კი 21,321,944 ფუთი. მხოლოდ სოხუმის ოლქში უფრო შედარებით კარგი მოსავალი, სადაც იმავე ცნობების მიხედვით, გადარჩება 77,387 ფუთი სიმინდი. სურსათის ნაკლებობას ყველაზე უფრო განიცდის მთა-გორიანი ადგილები, განსაკუთრებით ლეჩხუმის, რაჭის, დუშეთის, თიანეთის და ახალციხის მაზრები, უფრო ნაკლებ კი ბარის მაზრები, თუმცა სამყოფი სურსათი გარდა სოხუმის ოლქისა სიღნაღის და გორის მაზრებისა არც ერთს მაზრაში არ არის.

სურსათის საგრძნობ ნაკლებობას თავის დროზე მიაქციეს ყურადღება მაზრების ერობებმა და ზოგიერთმა ქალაქებმა. ერობებმა განიზრახეს დაგროვება სურსათის და შემდეგ მცხოვრებლებზე განაწილება, მაგრამ მათი ბიუჯეტი საკმარისი არ არის, რომ სურსათის დაგროვების საქმე მოაგვარონ და ამიტომ მაც ჩემს სამინისტროში უკვე ათმა მაზრის ერობამ და ორმა ქალაქმა აღძრა შუამდგომლობა გრძელ ვადიანი უპროცენტო სესხით დახმარების შესახებ. საერთო ჯამი დღემდის მიღებულ შუამდგომლობისა უდრის 32 000 000 მან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რესპუბლიკაში 19 სამაზრო ერობაა და 26 ქალაქი და სტატისტიკური ცნობებით კი ყველა თვითმმართველობებს მეტ-ნაკლებათ აკლიათ სურსათი-სესხის მოთხოვნილების ჯამი საგრძნობლათ გაიზრდება, რადგან სესხის გამოთხოვა სურსათის დასაგროვებლად საერთო ხასიათს იღებს და თითქმის ყველა სამაზრო ერობამ მოგვმართა თხოვნით, ამიტომ მე განვიზრახე გამოვითხოვო ერთჯეროვნათ, განსაზღვრული თანხა და შემდეგ საჭიროების მიხედვით მივცე ერობებს და ქალაქებს. რესპუბლიკის მთავრობისთვის, იმ ცნობების შემდეგ რომელნიც მოხსენების დასაწყისშია მოყვანილი სადაო არ იქნება, რომ 1) საქართველოში სურსათის დიდი ნაკლებობაა, და 2) მთავრობამ სესხის სახით დახმარება უნდა გაუწიოს ერობას და ქალაქებს სურსათის დასაგროვებლათ.

თითო თვითმმართველობას 2,000,000, მანეთი რომ მისცეს მთავრობამ სესხათ-გამოვა, რომ ორი მილიონით იყიდის, მაზრა ან ქალაქი, მხოლოდ 8,000 ფუთს სიმინდს თუ ვიანგარიშებთ სიმინდის ფასს 250 მან. ფუთს. ამ გვარათ ორი მილიონიც მცირე დახმარებაა, მაგრამ იმედი გვაქვს ჩვენი ერობები მოაგვარებენ ამ მცირე თანხითაც საქმეს და უფრო გაჭირვებულ მცხოვრებთ შეუმსუბუქებენ მდგომარეობას. ამიტომ ჩემი გამოანგარიშებით მთავრობამ ეხლავე უნდა გადასდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 45,000 000, მანეთი. ამ თანხით შესაძლებელი იქნება 180,000 ფუთი სიმინდის ყიდვა. რესპუბლიკას კი აკლია 21,321,944 ფუთი სურსათი. აღნიშნული თანხა გაუნაწილდება საჭიროებების მიხედვით მაზრების ერობებს და ქალაქების თვითმმართველობებს, რომელთაც მიეცემათ გრძელ ვადიან უპროცენტო სესხათ.

მოგახსენებთ რა ზემო აღნიშნულს, მე საჭიროთ მიმაჩნია მთავრობამ დაჩქარებით გადასცეს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 45,000,000 მან. სასურსათო საქმეების მოსაგვარებლათ ერობების და ქალაქების თვითმმართველობათა სესხათ მისაცემათ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. ჭიჭინაძე.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ შემდეგი ცირკულიარული წინადადება დაუგზავნა სტამბებს და სხვა საბეჭდავ წარმოებებს:

„თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის დეკემბრის 16 მიღებულ კანონისა ყოველ სტამბის, ლიტოგრაფიის მეტალოპლასტიკის და ყოველნაირ საბეჭდავ წარმოების პატრონი მოვალეა მის წარმოებაში დაბეჭდილ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები წარუდგინოს სხვათა შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ნაწარმოების გამოცემისათანავე.

ამის გამო შინ. საქმეთა სამინისტროს კანცელარია წინადადებას გაძლევთ, რათა უსასტიკესათ იქნეს დაცული ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნილება და ყოველ შემთხვევაში თავის დროზე ხდებოდეს ნაწარმოების სამინისტროში წარდგენა“.

ჩალადირის მაჰმადიანები და საქართველოს დამოუკიდებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო შემდეგი დეპეშა:

ჩალადირის მაჰმადიანთა ეროვნული საბჭო დიდის სიხარულით შეხვდა მოკავშირეთა მიერ სახელოვან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას. სულით და გულით ვუსურვებთ განვითარებას და აყვავებას საქართველოს, რომელმაც დაამტკიცა, რომ შეუძლია და უფლება აქვს დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვრებისა, ვინაიდან მან სინამდვილეში შექმნა სრული მოქალაქეობრივობა. გადაეცით ჩვენი სალამი და კეთილი სურვილები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ხალხს.

სამხედრო სამინისტროში

ჯარის-კაცის კერძის გადიდება

სამხედრო მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემ შემდეგი ბრძანება გასცა რესპუბლიკის მისდამი რწმუნებულ უწყებისადმი:

„მიმდინარე წელს პირველ თებერვლიდან ვბრძანებ, იძლეოდეს დღიურათ ყოველ ჯარის კაცს ნაცვლათ რვა მისხალისა ათი მისხალი შაქარი და ნაცვლათ 6 მისხალისა 8 მისხალი ცხიმი. ამ რიგათ დღიურ კერძის სარჩოს მიემატება ღირებულება 2 მისხალ ცხიმისა აღმოსავლეთ საქართველოში დაბანაკებულ ჯარისთვის 52,08 კაპეიკი, ხოლო დასავლეთ საქართველოში დაბანაკებულ ჯარისას კი 44, 27 კაპ., რის შემდეგაც კერძის სარჩოს ღირებულება პირველისათვის უდრის 9 მან. და 39 კაპ., ხოლო მეორესთვის 9 მ. 56 კ ჯარის-კაცის მთელი დღიური ულუფის ღირებულება კი 25 მან. 33 კაპეიკი“.

განათლების სამინისტროში

ტანთ-ვარჯიშობა.

რესპუბლიკის ტანთ ვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი გ. ეგნატაშვილმა თავისი თანაშემწეებისა და ტფილისის სატანთ-ვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს წევრებთან ერთად დაათვალიერა ქ. ქუთაისის საშუალო სასწავლებლები, სადაც გაეცნო მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდის საქმეს.

ზუგდიდის სამაზრო ერობის შუამდგომლობა.

ზუგდიდის სამაზრო ერბამ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ძუკუ ლოლუა დაინიშნოს მაზრაში ხალხურ სიმღერათა ინსტრუქტორათ.

საქართველოს მუზეუმის შტატი და ხარჯთ აღრიცხვა.

განათლების სამინისტრო ამ ჟამათ იმუშავებს საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ნორმალურ შტატს და ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც სამინისტროს ვარაუდით 1657300 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

დახმარება სოფლის მოსახლეობას სათესლე ხორბლით.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გამოარკვია, რომ 1919 წლის მოუსავლობის გამო განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს ოთხი მაზრა სახელდობრ: რაჭის, ახალციხის, ახალქალაქის და ქუთაისის მაზრები, სათესლე ხორბლის უკიდურეს სიმცირის გამო. ამ მხრით გაჭირვებას განიცდის, თუმცა შედარებით ნაკლებათ, აგრეთვე სხვა მაზრებიც. სტატისტიკურ გამოკვლევით, სათესლე ხორბლის საჭიროება ერთ მილიონ ფუთამდე აღწევს. მიწათ მოქმედების სამინისტრო ზომებს იღებს გაჭირვებულ სოფლის მოსახლეობის სათესლე მასალით უზრუნველსაყოფათ. განზრახულია გამოეთხოვოს მთავრობას განსაკუთრებული თანხა და შეძენილ იქნეს ქსოვილები, რკინეულობა, საპონი, ნავთი და სხვა პირველ საჭიროების საგნები, რომელიც გაიცვლება სათესლე ხორბალზე, სადაც ეს შესაძლებელია. ჯერ ჯერობით გამორკვეულია, რომ სიღნაღის მაზრიდან შეიძლება ასი ათასი ფუთი და გორის მაზრიდანაც ოცი ათასი ფუთი სათესლე ხორბალი და 900,000 ფუთი სათესლე სიმინდი — სამურზაყანოდან. ეს ციფრები ნავარაუდევია სტატისტიკურ ანგარიშით, მაგრამ შემჩნეულია, რომ ზოგ მაზრიდან გაცილებით მეტი სათესლე ხორბლის გამოტანა შეიძლება, თუ კი ფულის მაგიერ მის პატრონებს მისცემენ აუცილებელ საჭიროების საგნებს.

მიწების დახვნა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობებით, სოფლად წელს საერთოდ გაცილებით მეტი სივრცის ნახნავები იქნება, ვიდრე წარსულ წელს. სოფლის მოსახლეობა არ უცდის სათესლე მასალის მიღებას და მანამდისვე ცდილობს დახნას რაც შეიძლება მეტი მიწა.

ყარაიაზის მამულში.

ყარაიაზის მამულში შეუდგნენ პირველი განაყოფილების სარწყავ არხების კაპიტალური გაწმენდას, რაზედაც ჩინელები მუშაობენ. ამას გარდა მარტო სახალხო გვარდიელებს გაჰყავთ სამი ვერსის სიგრძის ახალი არხი, რომელიც ტბას შემოუვლის გარს და მორწყავს უკვე დათესილ ორი ათასამდე დესეტინა მიწას.

—

ქალაქის თვითმმართველობაში.

ხარჯები მილიციის შესანახათ.

ქალაქის გამგეობას 1919 წლის განმავლობაში მილიციის შესანახათ დაეხარჯა: პირად შემადგენლობაზე — 16.741.578 მან. 68 კაპ., სამეურნეო ხარჯები არის 659.435 მ., მილიციელთა შესამოსათ—2.276.007 მ. 4 კ, სისხლის სამართლის მილიციელებზე 54.600 მ. სულ 19.631.620 მან. 72 კაპ. 1920 წ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტით მილიციის შესანახათ ნავარაუდევია 51.389.345 მ. 78 კ. ამ თანხიდან საჭიროა: პირადი შემადგენლობის შესანახათ უკანასკნელი მომატებით 42 მილ. 951.853 მ. 28 კ., სამეურნეო ხარჯების დასაფარავათ 2.549.177 მ. 50 კ. მილიციის მოსამსახურეთა შემოსვა 5.821.176 მ. სისხლის სამართლის მილიციელთათვის 66 600 მ.

არტისტ. თეატრის განცხადება.

ქალაქის გამგეობაში შემოვიდა განცხადება არტისტიულ საზოგადოების თეატრის შენობის მფლობელ ხან სიღნაღელის რწმუნებულისა, რომელიც აცხადებს სურვილს ხსენებულ შენობის საიჯარო ფასი განსაზღვროს გამგეობამ ოღონდ შენობა ნუ იქნება იძულებით ჩამორთმეული თანახმად 11 ივლისის კანონისა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოწვეულ იქნას ქალაქის საბჭოს იურიდიული კომისია და გამგეობასთან ერთად შეერთებულ სხდომაზე დაისვას განსახილველად ეს საკითხი.

დახმარება.

ქალაქის გამგეობამ 1.000 მ. დახმარება მისცა სირანუშ მინასიანცს, რომლის მცირეწლოვანი ქალი ქალაქის ტრამვაიმ გასჭყლიტა.

ტფ. მაზრის ერობის შუამდგომლობა.

ქალაქის გამგეობას ტფილისის სამაზრო ერობამ მიჰმართა განცხადებით, რომლითაც ითხოვს რუსთაველის პრ., № 6, არსებული შენობა, რომელიც ეკუთვნის ძმებ მანთაშევებს, და რომელშიაც ერობაა დღეს მოთავსებული გადაეცეს მას და აგრეთვე ნება მიეცეს შენობის გადაკეთების, როგორც ეს საჭირო იქნება ერობისათვის. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მხარი დაუჭიროს ტფილისის მაზრის ერობას, რომ მან შეიძინოს 11 ივლისის 1919 წლის კანონის ძალით ერობის საჭიროებისათვის ხსენებული შენობა.

ჯამაგირები ექიმებს.

ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომაზე დადგენილ იქნა ქალაქის ექიმების ჯამაგირები გათანასწორებულ იქნას რკინის გზის ექიმების ჯამაგირებთან.

დაჯარიმება.

საქონლის ხელოვნურად ფასის აწევისათვის ქალაქის გამგეობამ დააჯარიმა ათასი მანეთით პ. ბახტამიანი, 500 მანეთით: ილია ტომარაძე, ივანე ბაკურაძე, ლ. მეუმალიანცი, გალუსტ ტელიმანიანცი, პეტროს პეტროსიანცი, ისმაილ ვაკაბოვი, აშ. ტერ-აკოპოვა, ვართან აგაბალიანცი, 2000 მანეთით: ქრ. ცხოვრებიანცი, სამუელ სანამიროვი და ეფრემ ტერ-ანტონოვი. სამი თვით ციხეში ჩასვეს: არშაკ დავითის ძე ახვერდოვი. დაჯარიმებულია აგრეთვე ამავე დანაშაულობისათვის და პასუხისგებაში მიცემული 96 კაცი.

აბანოები.

ქალაქის გამგეობას აზრათ აქვს გაადიდოს ქალაქის აბანოებზე ფასი, რადგან უკანასკნელ 60% მომატების შემდეგ, აბანოები ზარალს აძლევს ქალაქს.

უფასო ბილეთები

ქალაქის გამგეობამ სახალხო გვარდიის შტაბს გვარდიელთა საჭიროებისათვის 30 უფასო ბილეთი მისცა.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

ყველა ფრანგული გაზეთი ეხება ფონ-ლერსნერის მიერ განცხადებულ უარს დამნაშავე-

თა სიის ბერლინში გადაგზავნაზე. „მატენი" სწერს: აქ არავ თარი ბუნდოვანება არ შეიძლება იყოს: ან გერმანიამ სისწორით უნდა აღასრულოს საზავო ხელშეკრულობის პირობები და მაშინ მოკავშირენი დასტოვებენ 5 წლის განმავლობაში რეინის მარცხენა ნაპირს, ან და გერმანიამ ანგარიში არ უნდა გაუწიოს საზავო ხელშეკრულობის პირობებს; მისი დიპლომატები იმგვარივეა, როგორც კაიზერის დროს. ამიტომ ჩვენთვის ისინი არასასურველნი არიან. მოკავშირეთა უფლება და ვალდებულებაა გაუცხადონ გერმანიას, რომ მათ ამგვარ წარმომადგენლებს ჩვენ აღარ მივიღებთ. „ომ ლიბრი": ფონ-ლერსნერი წავიდა, ანტანტას შეუძლია ერთი გადაწყვეტილება გამოიტანოს: მოითხოვოს დაჟინებით დაუყონებლივ უდაგოთ და უსიტყვოთ გაცემა ყველა იმ პირებისა, რომელნიც სპორდება ჩვენ სასამართლოს, რომ დამნაშავე, გერმანიას ვაჩვენოთ, რომ ბოროტ მოქმედებისათვის პასუხი უნდა აგონ და რომ არ შეიძლება ამგვარი დანაშაულის ჩადენა კულტურულ კაცობრიობის წინაშე უპასუხისმგებლოთ. „პტი პარიზიენი" სწერს ფონ-ლერსნერის უარი ბევრ რამის მომასწავებელია: ის გამოძახილი, რომელსაც ეს ქასტი გამოიწვევს გერმანიაში მომავალში მდგომარეობას უფრო გაამწვავებს. „ჟურნალ დე-დება" სწერს: თუ გერმანიის ხალხი ისე სოლიდარულათ არის თავის ყოფილ იმპერატორთან და 300 დამნაშავესთან, რომელთა გაცემასაც ჩვენ ვითხოვთ, მაშინ თვითონ მან უნდა გაგვცეს პასუხი მათ მაგიერო.

დიჟონის ახლო ლიონის ექსპრესი დაეტაკა საბარგო მატარებელს; მომკვდარია 18 და დაჭრილი 34 კაცი.

ხუთშაბათს, საფრანგეთის პალატაში შეიტანეს საკითხი მთავრობის გარეშე პოლიტიკის შესახებ: სხვა და სხვა საზავო ხელშეკრულობის, ვატიკანთან დამოკიდებულებისა და რუსეთის პოლიტიკის შესახებ.

გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად გაკიცხვა გამოუცხადა ფონ-ლერსნერს თავის მოქმედებისათვის, მაგრამ თითონ კი იმ აზრისაა, რომ მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელიაო.

ხელშეკრულობას შპიცბერგენის შესახებ ხელს მოაწერენ მომავალ ორშაბათს პარიზში, გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში.

ბუდაპეშტის გაზეთები იუწყებიან: მინისტრთა საბჭომ ხუთშაბათს განიხილა ანტანტის ნოტა განცხადებით, სადაც ნათქვამია, რომ ის ვერ მოითმენს უნგრეთის ტახტზე გაბსბურგების რესტავრაციასო. პოლიტიკურ წრეებში ხმები დადის, რომ ეროვნული კრება დაემორჩილება მოკავშირეთა ბრძანებას და შეფედ გაბსბურგს აღარ ამოირჩევსო. დროებით სახალხო მმართველათ ამოირჩევენ ამირალ ხორტის.

საფრანგეთის და ინგლისის მთავრობა მომავალ კვირაში ლონდონში აღმოსავლეთის საკითხის შესახებ მოილაპარაკებს. ამ მოლაპარაკებას დაესწრება აგრეთვე ნიტტიც. ხელშეკრულება შეიკვრება პარიზში, მას ხელს მოაწერს ოსმალეთის წარმომადგენელი.

ქ. ტფილისის მცხოვრებთა აღწერა.

ტფილისის თვითმართველობაში აღძრა ქალაქის მცხოვრებთა საერთო აღწერის საკითხი. თუ რამ გამოიწვია ეს აღწერა ამის შესახებ პასუხს იძლევა ქალაქის თვითმართველობის სტატისტიკურ ბიუროს გამგის მოხსენება:

„საქართველოს დედა ქალაქ ტფილისის, რომლის მცხოვრებნი რესპუბლიკის ყველა ქალაქების მცხოვრებთა 80% შეადგენს და რომლის პოლიტიკურ ეკონომიური მნიშვნელობა უმთავრეს როლს თამაშობს რესპუბლიკაში,— პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრების აღმშენებლობას და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა წინაშე ცხოვრების მიმდინარეობა აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელნიც მოითხოვენ დაუყონებლივ გარკვეულ და სავსე პასუხს. ეს საკითხები ასეთია:

რამდენი მცხოვრებია სულ ქალაქში? რამდენი მკვიდრი და რამდენი მოსული? როგორ ნაწილდებიან მცხოვრებნი ეროვნების, სქესის, წლოვანების, ხელობის, განათლების, ეკონომიურ მდგომარეობის და სხვა დემოგრაფიულ ნიშნების მიხედვით; რამდენია ქალაქში უმუშევარი, მათხოვარი, ფიზიკურ ნაკლულევანებიანი და სხვა?

როგორ როლს თამაშობს ესა თუ ის ეროვნება ან საზოგადოებრივი ჯგუფი კერძოთ ქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, და საერთოთ რას წარმოადგენს ქალაქის მრეწველობა და სხვა.

დასასრულ —რა მდგომარეობაშია ბინის საკითხი ტფილისში. რა გავლენა მოახდინა იმპერიალისტურმა ომმა და რევოლიუციამ სხვა და სხვა ეროვნების, კლასის და ჯგუფის მცხოვრებლებზე და სხ.

ყველა ამ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს სტატისტიკამ. მაგრამ სტატისტიკას შეუძლია მიაღწიოს ამას მხოლოთ მაშინ, როდესაც მისი ხელმძღვანელობით მოხდება ქ. ტფილისის მცხოვრებთა ძირითადი აღწერა, ქალაქის ეხლანდელ მდგომარეობის შესაფერ პროგრამით.

აქამდე მთავრობის და ქალაქის სტატისტიკა ცდილობდა პასუხი მიეცა ამ კითხვებზე, რისთვისაც ემყარებოდა 1917 წელს მთავრობის მიერ მოხდენილ აღწერაზე, მაგრამ ამ პასუხებს თითქმის ყოველთვის თან სდევდა მრავალი შენიშვნები და განმარტებანი, რაც სტატისტიკის ენაზე ნიშნავს,—რომ ამ პასუხების საგრძნობი ნაწილი მოკლებულია დადებით ღირებულებას.

ასეთი არა ნორმალური მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ 1917 წლის აღწერის შედეგები ეხლანდელ დროისთვის გამოუდეგარი და დაძველებულია. ნორმალურ დროს 1917 წლის აღწერის მასალებით თამამათ შეიძლებოდა სარგებლობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. მაგრამ სახეში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ქ. ტფილისის ცხოვრებაში, რომელიც ცხოვრების ძველი სახალხო მეურნეობის საფუძველთა და ცხოვრების საძირკვლის რევოლიუციონურ გადახალისების ცენტრში იმყოფება,—უკანასკნელ აღწერის შემდეგ გასულ 3 წელს მოხდა იმდენი ცვლილება, რამდენიც მშვიდობიან, ნორმალურ პირობებში 50 წელსაც არ მოხდებოდა.

თუ 1917 წლის აღწერის მასალები საქმის ნამდვილ მდგომარეობას რამდენათ არ შეეფერება სჩანს ამ აღწერის ცნობებიდან ქალაქის მცხოვრებთა შესახებ. ამ ცნობებით ეროვნების მიხედვით ქალაქის მოსახლეობა ასე ნაწილდება: ქართველები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 25,20%, რუსები—28,20%, სომხები—33,70% და სხვა ეროვნებანი—12,10%. ყველასთვის, ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს ქალაქის ნამდვილ მდგომარეობას, ცხადია, რომ ეს ციფრები სინამდვილეს არ შეეფერება. საქართველოს თვითგამორკვევამ და სომეხ და რუს ლტოლვილთა უკველია, ძალიანათ შეცვალა ეს პროცენტები. აგრეთვე არის საფუძველი იმის საფიქრებლათ, რომ ქ. ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა, რომელიც 1917 წლის აღწერით 261 ათას უდრიდა, საგრძნობლათ შეიცვალა.

ყველა ზემო ნათქვამის გარდა, უნდა აღინიშნოს შემდეგი. 1917 წლის აღწერაში არ შევიდა მთელი რიგი ისეთი კითხვებისა, რომელთაც საქართველოს დედა ქალაქისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მაგალითად კითხვები სამშობლო ენის, მცხოვრებთა პროლეტარიზაციის, მუდმივ პროფესიის და ქალაქის ცხოვრებაზე ომისა და რევოლიუციის გავლენის შესახებ და სხვა კითხვები, რომლებიც მაშინ არ იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ აუცილებლათ საჭიროა ეხლა, როდესაც ცხოვრება ძველი ტრაფარეტულ ფორმებში კი არ ყალიბდება, არამედ ყველაფერი ხელახლათ იქმნება. ცხადია, ქ. ტფილისის მომავალ ძირითად აღწერაში ყველა ეს საკითხები შეტანილი იქნება და ეს აღწერა გადაიქცევა რიცხობრივი ცნობების მდიდარი წყაროთ, საიდანაც ქალაქის პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრების აღმშენებლებს და ხელმძღვანელებს შეეძლებათ იმ ცნობების ამოკრება, რომელიც საჭიროა მთელი რესპუბლიკის მთავარ ეკონომიურ ცენტრის, საქართველოს დედა ქალაქის ცხოვრების საზოგადოებრივ აღმშენებლობის და სახელმწიფოებრივ პრაქტიკულ მუშაობისთვის.

მუნიციპალური ცხოვრება.

სიღნაღის ქალაქის საბჭოში 26 იანვრის სხდომა.

დადგენილებანი: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი: ძროხის ხორცი გირვ. 14 მან., ცხვრის ხორცი მამლისა 18 მან., ცხვრის ხორცი დედლისა 16 მან., კამეჩის ხორცი 10 მან., ღორის ხორცი გატყავებული ქონით 18 მ., ღორის ხორცი გაფუფქული 20 მ.ნ., ცხვრის დუმა 35 მან., ღორის ქონი ნაფერდალი 35 მ., ღორის ქონი წელისა 30 მან., ძროხის ჯიგარი 100 მან., ცხვრის ჯიგარი 30 მან., ღორის ჯიგარი 30 მან.

დამტკიცდეს 1920 წ. მილიციის შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა პირველ სამილიციო ნაწილისთვის: ერთი მილიციის უფროსი, ერთი მილიციის უფროსის თანაშემწე, საქმის მწარმოებელი, ერთი უფროსი მილიციონერი და თორმეტი უმცროსი მილიციონერი; მეორე სამილიციო ნაწილისთვის ერთი მილიციის უფროსის თანაშემწე და ექვსი მილიციონერი.

მილიციის უფროსს მიეცეს ჯამაგირი თვეში 3500 მან., მილიციის უფროსის თანაშემწეს 3100 მან., საქმის მწარმოებელს 2700 მან., უფროს მილიციონერს 2700 მან., უმცროს მილიციონერს 2500 მან. და გადაიდოს: მილიციის ორივე ნაწილების გათბობისთვის და განათებისთვის ამ 1920 წ. 7500 მ., საკანცელარიო ხარჯი 2000 მან., ორივე სამილიციო ნაწილების ბინის ქირა 2600 მან. და მილიციის ტანთსაცმელით შესამოსათ 50 ათას მან. სულ ერთი მილიციის უფროსი, ორი მილიციის უფროსის თანაშემწე, ერთი საქმის მწარმოებელი, ერთი უფროსი მილიციონერი და ოცი უმცროსი მილიციონერი.

ჩამოერთვას ქალაქის საზოგადო საკუთრებათ არტემ ოთაროვს და დიმიტრი ნაუმენკოვს გამგეობისაგან ნაჩუქნები სახლები მდებარე მიწით, ეზოთ და ბაღით.

მიენდოს ამ ორი სახლის შეფასება მუდმივ შემფასებელ კომისიას.

მუდმივ შემფასებელ კომისიის წევრათ დამატებითი კიდევ კრებამ აირჩია ხმოსანი გ. ნაცვლიშვილი.

მესაკუთრეთ საფასური მიეცეთ თანახმად მუდმივ შემფასებელ კომისიის შეფასებისა.

ქალაქის მილიციონერები 1-ელ იანვრიდან 1920 წ. გათანასწორებულნი იქნენ ჯამაგირით სამაზრო მილიციონერებთან.

ე რ ო ბ ა

ერობათა კავშირის კომიტეტმა შემდეგი დეპეშები მიიღო: ზესტაფონიდან: „შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა გთხოვთ განკარგულებას, რათა გადმოგზავნილ იქნეს ჭიათურაში ორი ვაგონი მარილი ნაღდ ფულზე ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა საჭიროებისათვის."

ზუგდიდიდან.

„მაზრაში მძვინვარებს დიფტერიტი. გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს დაგვეთმოს 150 ამპულა შრატი."

საფუთო გადასახადის შესახებ.

ერობათა კომიტეტმა ქუთაისის ერობისაგან შემდეგი მოწერილობა მიიღო:

ქუთაისში ქალაქის თვითმმართველობამ თანახმათ 1919 წ. ივლისის 31 დეკრეტისა, შემოიღო საფუთო გადასახადი, რომელიც ედება რკინის გზით ქალაქში შემოტანილ ტვირთს. ამ დეკრეტის მე-8 მუხლის ძალით საფუთო გადასახადის შემოსავლის ერთი მესამედი უნდა გადაიდოს ერობის სასარგებლოდ, რომლის საზღვრებში შედის ამ გადასახადის შემომღები ქალაქი.

ვინაიდან საფუთო გადასახადის აკრეფა და ანგარიშების წარმოება იკისრა რკინის გზის სამმართველომ ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა გთხოვთ გამოუგზავნოთ მას 1919 წლის ხვედრი ქ. ქუთაისის მიერ შემოღებული საფუთო გადასახადისა და აგრეთვე აცნობოთ რა წესით შეიძლება შემდეგში ამ გადასახადებისაგან შემოსული ფულის მიღება. ამას თან ერთად გვაცნობეთ იკრიფება თუ არა ქალაქ სამტრედიის სასარგებლოდ საფუთო გადასახადი, და თუ იკრიფება მისი შემოსავლის ერთი მესამედიც უნდა გამოეგზავნოს ქუთ. სამაზრო ერობას, რადგან სამტრედია შედის მის საზღვრებში.

აფხაზეთის ერობაში.

ერობათა კავშირის კომიტეტს აფხაზეთის ეროვნულმა საბჭომ წერილობითი განცხადება წარუდგინა აფხაზეთში ერობებთან სასურსათო განყოფილების დაარსების შესახებ. მოხსენების განხილვის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა: 1) დაარსებულ იქნას აფხაზეთის ერობებისათვის სასურსათო ცენტრი ქალ. სოხუმში, რომელიც შეადგენს ამავე დროს განყოფილებას საქართველოს ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტისას; 2) ასეთი კავშირის დაარსება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ტფილისის კომიტეტთან დაარსდება სასურსათო განყოფილება; 3) აფხაზეთის ერობათა სასურსათო ცენტრის სათავეში იდგომება 17 წარმომადგენელი ერობათა კავშირის კომიტეტისა; 4) სასურსათო განყოფილებაში იქნება საბჭო, რომლის მოვალეობა იქნება ხელმძღვანელობა გაუწიოს სურსათის შეძენასა და განაწილებას, საბჭოში შევლენ თითო წარმომადგენელი სამაზრო ერობათა, რომელსაც გამგეობა ირჩევს; 5) ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე თუ სხვა საქონელი მთავარ კომიტეტთან გადაგზავნილი იქნება მხოლოდ თავის რწმუნებულის სახელზე, რისთვისაც არსდება საწყობები და გადაზიდვის საშუალებანი, რის ხარჯებს იკისრებს კავშირის კომიტეტი; 6) თანახმად საერობო მოღვაწეთა ყრილობის დადგენილებისა ადგილობრივ სხვა და სხვა საქონლის შესყიდვა სწარმოებს მხოლოდ სამაზრო ერობების საშუალებით. სამაზრო ერობების მიერ დამზადებული საქონელი უშუალოდ გადაეგზავნება კომიტეტს, ან და ჩაებარება ადგილობრივ რწმუნებულს.

გორის ერობაში.

გორის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა 10,000 მანეთი გადაიდოს გორის ერობის განკარგულებაში ანარქიასთან საბრძოლველად გადადებულ ფონდიდან ანარქიასთან ბრძოლაში გაწეულ ხარჯების დასაფარავათ.

— გორის ერობამ დაადგინა სათადარიგო მასწავლებლებს მივლინების დროს მიეცეს 50 მანეთი, აგრეთვე 2000 მან. დახმარება აღმოუჩინა ერობამ მასწ. გერმანაშვილს.

— მაზრის მილიციის უფროსათ დაინიშნა, გოგუას მაგივრათ, რომელმაც თავის ნებით დასტოვა თანამდებობა—ნიკ. ბერიძე.

— გორის ერობამ დაადგინა: რადგან მაზრაში ხშირად ისეთი ავათმყოფები არიან, რომელთა მოვლა-წამლობას რაიონის ექიმები ვერ ახერხებენ—გაიმართოს მოლაპარაკება ქალაქის თვითმართველობასთან საერთო საავათმყოფოს მოწყობის შესახებ.

— ს. ახალქალაქში კრების დადგენილებას თანახმათ გაიხსნება უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი.

ქალაქთა კავშირში.

მთავარ კომიტეტის დადგენილებანი:

1 თებერვალს დასრულდა ქალაქთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომები, რომელიც დაიწყო 25 იანვარს.

სხდომებზე გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებანი.

დადასტურებულ იქმნას ერობათა და ქალაქთა კავშირების შეერთება, იმ პირობით, თუ ერობის კავშირი შეიტანს შეერთებულ ფონდში იმდენივე ქონებას, რამდენსაც ქალაქთა კავშირი;

— დამტკიცებულ იქმნას აღმასრულებელ ბიუროს დადგენილება სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავათ სტიპენდიის დაარსების შესახებ.

დაევალოს აღმასრულებელ ბიუროს შეადგინოს კომისია, რომლის მოვალეობა იქნება ქალაქთა საბიუჯეტო უფლებების კანონ პროექტის განხილვა და შემუშავება.

— რადგანაც ერობათა კავშირმა უარი განაცხადა ჟურნალ „ქალაქი და ერობის" გამოცემაში მონაწილეობის მიღებაზე, საკუთარ ჟურნალის გამოცემა არ შეჩერდეს და დაერქვას „ჩვენი ქალაქი".

დადასტურებულ იქმნას აღმასრულებელ ბიუროს დადგენილება, რომ ტფილისის და პროვინციის სახალხო უნივერსიტეტების სასარგებლოთ 25000 მან. გაცემის შესახებ;

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქციას მიეცეს 5000 მან. დახმარების სახით;

საჭიროთ იქნეს ცნობილი მუნიციპალური ბანკის მოწყობა, რისთვისაც აღმასრულებელ ბიუროს დაევალოს შეუთანხმდეს ფინანსთა სამინისტროს და სხვა საზოგადო დაწესებულებებს, რათა ბანკის გახსნის ინიციატივა ქალაქთა კავშირს ჰქონდეს;

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

— დ. კლდიაშვილის საიუბილეო წიგნი უკვე იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა წიგნში მრავალი წერილები და ლექსებია.

— წ. კ. საზოგადოების გამგეობამ დ. კლდიაშვილის იუბილეზე დასასწრებლად აირჩია გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი დ. კარიჭაშვილი და მეთოდე კაკაბაძე. ამავე საზოგადოების გამგეობამ გადასდო აგრეთვე იუბილიარისთვის 2000 მანეთი.

— მზადდება და თებერვლის ბოლო რიცხვებში დაიდგმება სახაზინო თეატრში კ. ფოცხვერაშვილის ახალი ორიგინალური ოპერა „კერპთა დამხობა".

— ამ დღეებში სახაზინო თეატრში დაიდგმება ცნობილი კომიკური ოპერა, ქართული თარგმანი „სევილიელი დალაქი".

— ქართველ მწერალთა კლუბ ქიმერიონში დაიწყო ქართული საღამოები. პირველი საღამო გაიმართა კ. მაყაშვილისათვის, რომელიც მეტად შინაარსიანი გამოდგა.

ჟურნალი „ჯეჯილი"

რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" საიუბილეო ნომერი. ჟურნალს 25 წლის ისტორია აქვს, ამისთვის ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვის თქმა მისი არსებობის მნიშვნელობის შესახებ. გაეროვნების უმაღლესი ფაქტორი ეს სახალხო განათლებაა. ყოველგვარი კულტურის სათავე აქ არის, აქედან იწყებს დენას ერის გამანათლებელი ნაკადი. ამიტომაც იყო, რომ მონურ საქართველოს დროს ჩვენში წარმოგზავნილნი სწავლა აღზრდის „ჰეროსტრატნი" უკულმართად, ანტიპედაგოგიურად წარემართნენ საერო განათლების საქმე და მით ხელი შეეწყოთ ეროვნულად ჩვენი დაკნინებისათვის, გადაგვარებისათვის. ჩვენ სკოლებში ძველი სქოლასტიკური სული იყო გამეფებული. მშობლიური ენის ხსენებაც კი მამაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნდათ სწავლა აღზრდის დროს. ცხადია, ასეთ დროს ბევრი დამაბრკოლებელი პირობები უნდა გადაელახათ, ბევრი უსიამოვნება უნდა ეგემათ ჩვენში თითო ოროლა ეროვნული სწავლა-აღზრდის მოტრფიალეთ, რომელთაც ღრმად სწამდათ, რომ ერის მომავალი ბედი დამოკიდებულია მის მომავალ თაობაზე. სწავლა-აღზრდის კეთილ მოსურნეთა და მოჭირნახულეთა შორის პირველ რიგში იყო ჟურნალი „ჯეჯილი". შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარ მალამოდ ითვლებოდა იმ დროინდელ დასნეულებულ, ნახევრად მკვდარ სკოლისათვის. „ნაკადულთან" ერთად „ჯეჯილის" ლამპარი მაშინ გამეფებულ წყვდიადის გასაფანტავათ ის 25 წლის განმავლობაში გამრიელ საზრდოს აწვდა და მოზარდს. ამ დროს სწავლა აღზრდის ასპარეზე ჯეჯილის სიმწვანე კი არა, მარტო თესლი იყო და ჟურნ. „ჯეჯილიც" ხელს უწყობდა მის აზურმუხტებას, დაყანებას. 25-წლის მოღვაწეობა მაშინ და ისიც ამ ასპარეზზე არც ისე ადვილი საქმე იყო. რამდენი ენერგია, საქმის სიყვარული უნდა ჰქონოდა „ჯეჯილის" ხელმძღვანელთ რომ არჩეული ეკლიანი გზა განეგრძო, უკან არ დაეხია, საქმისთვის არ ეღალატა. და მართლაც ბარაქალა, დიდი მადლობა „ჯეჯილის" მომვლელ-პატრონობაში გათეთრებულ ანასტასია წერეთლისას. თანამედროვე სკოლა, მომავალი თაობა არასოდეს არ დაივიწყებს მის ღვაწლს. ის დღესაც დაუღალავათ განაგრძობს შრომას.

დასასრულ ვისარგებლებთ შემთხვევით და ვიტყვით შემდეგს: არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენ ძალიან ცოტას ვზრუნავთ ბავშვებისათვის, არა გვაქვს საბავშვო ბიბლიოთეკა. დღეს, ჩვენში გარდა ორი საყმაწვილო ჟურნალისა არსებობს საყმაწვილო წიგნების გამომცემლობა. ეს ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ დარგში ჩვენ ძალიან ცოტა მუშაკნი გვყავს. ცოტაა იმიტომ, რომ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა, მისი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მის ნორჩ გულის სიღრმეში ჩახედვა ძნელია, მეტად ძნელია, ამისათვის საჭიროა მეტი სიფრთხილე. მიზანი ყველა ამ მუშაკთა ერთი და იგივეა. ეხლანდელ პირობებში ცალცალკე პირთათვის გამომცემლობაც ძნელი საქმეა და ამისათვის უკეთესი არ იქნებოდა ამ ძალების შეერთება, კოლექტიური, შეთანხმებული გეგმით მუშაობა? ამ საკითხს იქნება პრინციპიალური ხასიათიც ჰქონდეს, ამისათვის ზედმეტი არ იქნება მის შესახებ აზრის გამოთქმა.

სხვა და სხვა

✦ ყველიერის დღესასწაულებში ქართულ კლუბში გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის საღამო, უცხოეთში მთავრობის ხარჯზე გაგზავნილ სტუდენტთა სასარგებლოთ. საღამოს დიასახლისათ მოწვეულია ქ-ნი ბ. ა. ბერიძე. საღამოში მონაწილეობის მისაღებით მოწვეულია საუკეთესო ძალები.

✦ ამ დღეებში დასრულდა ტფილისის ეპარქიული საბჭოს სხდომები, წამოყენებული იყო ფრიად საყურადღებო საკითხები, რომელიც კრების კომპეტენციაში არ შედის, გადაწყდა 1 ივნისის მოწვეულ იქნეს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. სხდომაზე გამოირკვა რომ საეპარქიო სანთლის ქარხანაში მრავალი ბოროტმოქმედება მოხდარა.

✦ კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი"-მ დაამთავრა 1918—19 წ. წ. ანგარიშები ამ ორ წლის საზოგადოების ბალანსი უდრის 4,734,631 15 კაპ. წმინდა მოგება საზოგადოებას ჰქონია 142,577 მან. 18 კაპ.

✦ რომიდან იუწყებიან, რომ იტალიურ პრესაში რამდენიმე ახურვილე წერილი იქნა მოთავსებული საქართველოს ზეიმის შესახებ მის დამოუკიდებლობის გამო.

✦ 8 თებერვალს კაფე „ფრასკატის" ბინაზე „დედობისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების" სასარგებლოთ გათამაშებულ იქმნა „შრომის ლატარეა", რომელსაც დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია მეუღლითურთ, ბრიტანიის უმაღლესი კომისარი ბ-ნი ოლ. უორდროპი, დამფ. კრების წევრნი და სხ.

✦ ქალაქის მოურავის განცხადებით, სინამდვილეს არ შეეფერება ქალაქში გავრცელებული ხმები, ვითომ განზრახული იყოს ტფილისის კერძო ელექტრონის სადგურების მუნიციპალიზაცია.

✦ დღეს გამოდის სომხურ უპარტიო გაზ. „მშაკის" პირველი ნომერი, რომელიც 10 თვის წინათ შესწყდა.

✦ კახეთის რკინის გზაზე დიდი ქარბუქის გამო 5, 6 და 7 მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, 8 თებერვალს მიმოსვლა განახლდა.

✦ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის აღმასრულებელმა ბიურომ შუამდგომლობით მიმართა სახელმწიფო თეატრის კომისარს, რათა ხსენებულ კავშირის სასარგებლოთ დადგმულ იქმნას სახელმწიფო თეატრში „აბესალომ და ეთერი".

✦ კვირას, 8 თებერვალს გაიხსნა საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს პირველი სესია. მოსმენილ და დამტკიცებულ იქმნა ა. ერზინკიანის მოხსენება წინანდელ აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედების შესახებ. არჩევნები გადაიდო. შეთანხმებით შესდგა საბჭოს ახალი შემადგენლობა, სადაც შედიან: 10 დაშნაკი და სხვა პარტიებისაგან 5—5; სულ 30 კაცი.

განცხადებანი

ხონის სამომრიგებლო უბნის მოსამართლე, ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა იწვევს ქ. ხონის მცხოვრებს გარდაცვალებულ ილარიონ დავითის ძე ბერიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ი. ბერიძის ქონებაზე.
085 1—1

საქართველოს რკინის გზის სამმართველო 1920 წ. თებერვლის 13 ს, დღის 12 საათზე იწვევს კონკურენციას დახურულ განცხადებით ერთი წლის ვადით ბუფეტების, სავაჭრო კარვების და სადალაქოების იჯარით გასაცემათ ქვემოთ აღნიშნულ სადგურებზე. განცხადებების შეტანა შეიძლება პირადათ ან ფოსტით. განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს საწინდრის კვიტანცია: სადგ. ტფილისის და სამტრედიის ბუფეტებისთვის 10.000 მ., გორის—3.000 მ., ბაკურიანის და ლანჩხუთის 1.000 მ., სადგ. ახტალის კარავისთვის ან ფოთის და გორის სადალაქოებისთვის—500 მან., საწინდარი უნდა შეტანილ იქნეს სამმართველოს მთავარ კასაში, და თუ წინადადება არ იქნა მიღებული, საწინდარი პატრონს უკან დაუბრუნდება, დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციაში 10—2 საათამდე.
148 3—1

ქ. ტფილისის მეორე უბნის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 1920 წლ. თებერვლის 15 ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ალექსანდრა კალინინის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას. ქონება იყიდება მარიამ კალინინას პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და შეფასებულია 3200 მან. ვაჭრობა მოხდება მე 8 უბ. სურფ-კარაპეტის ხევი, № 3.
213 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ რომ ტატიანის ქუჩაზე № 11 ყოფილ საკომერციო ნაწილის შენობაში 11 თებერვალს ა. წ. დილის 11 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით არქივის ქაღალდები. ნახვა მსურველთ შეუძლიათ გაყიდვის დღეს დილის 9 საათიდან.
180 1—1

ტფილისის თვითმართველობის წყალსადენის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 თებერვლისათვის დანიშნულია წერილობითი შეჯიბრება ქალაქის წყალსადენისათვის ქუჩებში მიწის გათხრის გასწორების, და საერთოდ წყალსადენისათვის ქუჩებში მიწის მუშაობის ფოდრათით აღების შესახებ. ფასები უნდა აღნიშნულ იყოს გარკვევით და გამოგზავნილი დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგ მისამართით: ქალაქის წყალსადენის დირექტორს, ქალაქის წყალსადენის საჭიროებისათვის ქუჩებში მიწის მუშაობის ფოდრათით აღების შესახებ.
181 1—1

ვასილ სიკოს ძე ცხაკაია აცხადებს, რომ მან დაკარგა ზესტაფონის ექვსი კლასიან სამოქალაქო სასწავლებლიდან აღებული ატესტატი 1914 წ. მპოვნელს სთხოვენ გაგზავნოს ცხაკაიას სახელზე, ზუგდიდის მაზრის ერობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.
184 2—1

დიმიტრი ზურაბის ძე მუსერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო ფულათ 1200 მანეთი და ს. მუხლის საზოგადოებიდგან (რაჭის მაზრა), აღებული პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
201 3—1

დაკარგულია სარკის აირაპეტის ძე მუგდუს ოგანიანის პასპორტი, აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 1920 წ. იანვრის 5 ს 23. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
206 3—1

ნინო ვლადიმერის ასული ჩიქვაიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ამიერ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის კანცელარიიდან აღებული 1917 წ. ატესტატი. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
207 3—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი კონსტანტინე ჭიჭინაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა მატრიკული № 895, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
208 3—1

ვლადიმერ ბიქტორის ძე ალავიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მეტრიკული მოწმობა და ფეხსაცმელის სახელოსნოდან აღებული მოწმობა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
218 3—2

დაკარგულია პასპორტი, აღებული 1920 წ. იანვრის 20-ს ქ. ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან ლიუბა პავლეს ასულის მაჭავარიანის მიერ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
216 3 2

დაკარგულია კ. ნიკოლაშვილის სახელმწიფო ფონდის წიგნაკი № 855, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
221 3—2

ალექსანდრე სამსონის ძე თხელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 56 აღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
211 3—2

მიხეილ გიორგის ძე მერებაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მამულის ნასყიდობა და კიდევ სამი კიდიპურის ნასყიდობა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
212 3—2

ტფილისის საოლქო სასამართლოს პირველი სამოქალაქო განყოფილება, თანახმად 301 და 309 მუხ. მუხ. 2 იანვარს 1914 წლის კანონთა კრებულისა, ამით აცხადებს, რომ ივანე და არჩილი სოლომონის ძეთ ანდრონიკაშვილების ბინადრობა სასამართლომ არ იცის, თანახმად ნიკოლოზ ტურიკოვის თხოვნისა, მისი ძიების გამო ანდრონიკაშვილებთან, უკანასკნელნი ვალდებულნი არიან განუცხადონ საოლქო სასამართლოს, ოთხი თვის განმავლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოცხადების დღიდან, მათ მიერ ტფილისის ამორჩეული ბინადრობა ან იმ პირთა, რომლებსაც ისინი ანდობენ სასამართლოში შემოსულ ქაღალდების მიღებას თავის მაგიერ. ვინიცობაა ანდრონიკაშვილებმა არ შეასრულეს აღნიშნული მოთხოვნილება, იმ შემთხვევაში საქმე დაინიშნება გასარჩევად და დადგენილი იქნება დაუსწრებელი განაჩენი.
050 1—1

ოლღა იასონის ასული წერეთლისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ყვირილის ხაზინიდან ცხენის ფულის მისაღები ორი ტალონი № 311 და 312. ტალონები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
217 3—2

ივანე ვასილის ძე გრეტკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური სასწავლებლიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
8—2

დავით მიხეილის ძე აბრამაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული კულაშის ერობის სამმართველოდან 1919 წ. ოქტომბრის 29-ს, № 617 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
185 2—2

ალექსანდრა დავითის ასული კერესელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალექციო წიგნაკი, აღებული ტფილ. სახელ. უნივერ. კანცელარიიდან № 1194. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: ალექსანდრეს ქ. № 54. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკი გაუქმებულათ ჩაითვალოს.
200 2—3

პავლე მაქსიმეს ძე ცოტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების ნებართვა, აღებული მეორე უბნის გვარდიის შტაბში 1920 წ. იანვრის 1-ს. ტანისამოსის ორდერი და ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს.
181 3—2

სასამართლოს ბოქაული თელავის უბნისა ყარსაშვილი, ამით აცხადებს, რომ ევა ივანეს ასულის მახურაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლათ 28 თებერვალს 1920 წ. დილის 10 საათზე, ქ. თელავში, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დარბაზში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, გარდაცვალებულ ივანე ისაკიძის ტიტიშვილის ობლების ქონებაზე, რომელიც მდებარეს ქ. თელავში და შეიცავს ერთ სართულიან ქვიტკირის სახლს, ერთ ოთახისგან შემდგარს სარდაფით მის ქვეშ, სიგრძით ათი არშინი, სიგანით რვა არშინი და სიმაღლით ექვსი არშინი თავისივე ეზოთი ზომით ორმოცდა ცხრამეტი ოთხკუთხი საჟენი, სამზღვრებს შუა: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გზები, დასავლეთით და სამხრეთით მამული გარდაცვალებულ ივანე ტიტიშვილის მემკვიდრეთა. ეს მამული შეფასებულია 800 მან. ამ ფასიდან დაიწყება ვაჭრობა.
136 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ივანე თედორეს ძე ფანცხავას განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს ექვსი თვის პასპორტი და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ.
157 2—2

ვასილ გრიგოლის ძე გონტმახერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 12430, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
197 3—3

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე თვითმართველობის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ქუჩების შესაკეთებლათ საჭირო რიყის ქვის და სილის მიწოდების შესახებ. რიყის ქვა საჭირო იქნება 300 კუბ. საჟენი და სილა 800 კუბ. საჟ. ყოველ გვარი პირობების გაგება შეიძლება საადმაშენებლო განყოფილების კანცელარიაში 12 ს. 2 საათამდე.
169 3—2

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების

ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ 1920 წლ. თებერვლის 15 ს, დილის 10 საათზე საჯაროთ გაიყიდება დაუხსნელი ტვირთები გამოგზავნილი კრემენჩუგიდან კვ. № 6604540, ცარიცინიდან კვ. 6532668 ბათუმში გასაგზავნათ, ბათუმიდან კვ. № 5881448 ომსკში გასაგზავნათ, ოდესიდან კ. №№ 6648634 და 6547931, მოსკოვიდან კვ. № 6393462 და სოხუმიდან კვ. № 5578550 და ტფილისის № 76582 მიღებული შესანახათ კვ № 6528639 ნოვგოროდში გასაგზავნათ. გაიყიდება აფთიაქის საქონელი, ზეთი, კაკალი, ფეხსაცმელის კრემი, ცხვრის ტყავი და სხ. დათვალიერება შეიძლება 10 თებერვლიდან 10—1 საათამდე. 202 3—2

ავჭალის შუშის ქარხნის ამხანაგობა

ამით აცხადებს პატივცემულ მყიდველთა, როგორც ქალაქის, აგრეთვე სხვა ქალაქებში მყოფების საყურადღებოდ, რომ ამხანაგობის ქარხანაში მზადდება ყოველგვარი ბოთლები, სააფთიაქო ჭურჭლები, ლამპის შუშები, ჭიქები და სხვ. შუშის ნაწარმოები. ჭურჭლის გატანა საქართველოს საზღვრებიდან ყველა მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ ნებადართულია. შეკვეთა შეიძლება პლეხანოვის პროსპ. № 108. ამხანაგობის კანტორა გაღებულია 9—3 საათამდე.
3—2